

ხონის მუნიციპალიტეტი



სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 71300000 - საინჟინრო მომსახურებები

სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ; 2016 წლის 8 ნოემბრის N40 113 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებიდან ხონის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის თანხებით ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ

ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ხონი 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწიულეთათვის -----3
2. ტექნიკური პირობები -----4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----27
4. რეკვიზიტები დანართი #1-----31
5. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი #3-----32

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (<http://www.procurement.gov.ge>) და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად (<http://www.procurement.gov.ge>).

2. სამუშაოს საგანი

2.1 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვა დანართი NN2-ის შესაბამისად. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 700.00 (შვიდასი ლარი და ნული თეთრი) ლარი.

2. ტექნიკური პირობები

2.1 პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- ✓ რეკვიზიტები (დანართი #1)
- ✓ ხარჯთაღრიცხვის ფორმა ტექნიკური დავალების შესაბამისად; დანართი N2.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭედის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) განმარტებითი ბარათი;
- ბ) სამუშაოს მოცულობათა უწყისი;
- გ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები;

2.3 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, შემსყიდველთან შეთანხმებით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

2.4 საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

2.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

2.6 სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

2.7 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში უნადლო ანგარიშსწორების ფორმით, საპროექტო დოკუმენტაციისა, სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურა (ელექტრონული ფორმით) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.8 ფასწარმოქმნის ადეკვატურობა: ვინაიდან, აღნიშნულ ტენდერში შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აზომვითი ნახაზების დოკუმენტაციის შედგენა, რაც წარმოადგენს პრეტენდენტისგან ინტელექტუალური მომსახურებას. შესაბამისად, აღნიშნულ ტენდერზე არ გამოიყენება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნა.

2.9 საპროექტო სახარჯთაღიციხვო დოკუმენტაცია - დოკუმენტაცია შესრულდეს 4 ეგზემპლარად ფერად ტონებში, ელექტრონული ვერსია მოწოდებულ იქნას DWG, PLN და PDF ფაილებით ოთხ ეგზემპლარად და გადაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე khonissshesyidvebi@gmail.com.

შესყიდვის პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრი გიორგი ჯანელიძის საშუალებით
ტელ: 598 30 92 50; 0495 22 14 33

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქ. xoni,

----- 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, (მისამართი: ხონი, Tavisuflebis moedani #6),

სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ -----
----- შემდგომში “მიმწოდებელი”.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მომსახურების გაწევის, საქონლის მიწოდების, სამუშაოს ან შესრულების ვადები, ხარჯთაღრიცხვა.

3. ხელშეკრულების საგანი

gamartivebuli ელექტრონული ტენდერის საშუალებით პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება,

4. სამუშაოს შესრულების პირობები პირობები

მიმწოდებელია ვალდებულია:

a) პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოკვეთილი პრიორიტეტების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

შემსყიდველი ვალდებულია:

4.7. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ანგარიშსწორება

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- (-----) lari

5.2. მხარეთა შორის მოხდება უნაღლო ანგარიშსწორება

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

5.4. მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

5.5. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს მიღებიდან **15 სამუშაო დღე.**

5.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მოწოდებული საქონლის მიხედვით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

6.2. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან დამატებითი ღირებულებების გადახდის ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის

აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა

ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების გადახდაზე,

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან სამი თვის ვადით.

15. დამატებითი პირობა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია sam ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

16. mxareTa iuridiuli misamarTebi da rekvizitebi

„შემსყიდველი“

xonis municipalitetis gamgeoba

მისამართი: q. xoni, Tavisuflebis moedani #6

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „liberTi ბანკი“ xonis ფილიალი

ბანკის კოდი – LBRTGE22.

ა/ნ – GE38LB0120192541461000

საიდენტიფიკაციო კოდი - 244961225

xonis municipalitets gamgeoba: -----jemal mebuke

„მიმწოდებელი“:

მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი –

ა/ნ –

საიდენტიფიკაციო კოდი -

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

2. პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
3. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
4. პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართები:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. ტელეფონის ნომერი:
7. ელექტრონული მისამართი:
8. მომსახურე ბანკი:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშსწორების ნომერი:

N	პროექტის დასახელება	შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება	პროექტირების თანხა	შენიშვნა
1	სოფელ გორდის გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება	5000.00 ლარი		
2	სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის შეკეთება	8000.00 ლარი		
3	სოფელ კუხის საბავშვო ბაღის შეკეთება	5000.00 ლარი		
4	სოფელ ივანდიდის გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება	11000.00 ლარი		
5	სოფელ კონტუათში გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება	7000.00 ლარი		
6	სოფელ ნახახულებში გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება	3800.00 ლარი		
7	ქ. ხონში დ. გურამიშვილის ქუჩიდან N3 საჯარო სკოლამდე ბილიკის მოწყობა	5000.00 ლარი		
			ჯამი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____